



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N99**

20 თებერვალი 2019 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 01 თებერვლის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 01 თებერვლის №20 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 07.02.2018 წ., 010250020.35.160.016456) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ში - „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულებაში“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ქალაქ რუსთავის ეკონომიკური შესაძლებლობების იდენტიფიცირება/წარმოჩენას, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის დასაგეგმად საჭირო წინადადებების მომზადებას და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის (მრეწველობა, ვაჭრობა მშენებლობა და სხვა) განვითარების სტრატეგიების შემუშავებას“

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად შესაბამისი პროექტების/წინადადებების შემუშავება/განხორციელებას, ინვესტიციების მოზიდვას და ტურისტულად მიმზიდველი ღონისძიებების პროპაგანდას.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი